შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არსენალი”

მის: გ.სააკაძის დაღმართი №6, მობ: 577202222

ს/კ 406259668

მინდობილობა

ქ. თბილისი 23 მაისი 2022 წ

მე, ლევან ქარუმიძე (პ/ნ 01011008714) შპს „არსენალის“ დირექტორი, წინამდებარე მინდობილობას ვაძლევ ქ-ნ ნატო ალფაიძეს - პ/ნ 01010013199, რათა მან წარმოადგინოს შპს „არსენალის“ ინტერესები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში. კერძოდ, შექმნას ჩვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. თბილისი, გედევანიშვილის ქ. №25 ს/კ 01.16.07.002.041), არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და შეათანხმოს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, რისთვისაც ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის დოკუმენტს. მინდობილობა მოქმედებს მისი ხელმოწერიდან და ძალაშია დემონტაჟის პროექტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებამდე, მარა არუმეტეს 3 თვისა.

შპს „არსენალის“ დირექტორი

ლევან ქარუმიძე

საქართველო. შპს "არსენალი" * GEORGIA. "ARSENALI" LLC * "ARSENALI" 406259668

სილქნეტი
SILKNET

№ 4338/05-8 "30" 09 2021

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978), ამავე საზოგადოების საოპერაციო მიმართულების დირექტორს ვერა დუდუჩავას (პირადი № 35001002733) ანიჭებს უფლებამოსილებას სს „სილქნეტის“ სახელით შეასრულოს შემდეგი უფლებამოსილებანი :

1. სს „სილქნეტის“, როგორც „მოიჯარისა“ და როგორც „მეიჯარის“ სახელით გააფორმოს (ხელი მოაწეროს) და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაარეგისტრიროს საიჯარო და სარგებლობის/სერვიტუტის ხელშეკრულებები; აგრეთვე, გააფორმოს (ხელი მოაწეროს) და დაარეგისტრიროს აღნიშნულ საიჯარო ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანისა და ხელშეკრულებათა შეწყვეტის შესახებ შეთანხმებები და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალებების შესრულებასთან;

2. სს „სილქნეტის“ სახელითა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გაასხვისოს კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, ამ მიზნით ხელი მოაწეროს ნასყიდობის ხელშეკრულებას, აგრეთვე, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება რომელიც საჭიროა აღნიშნული დავალების შესასრულებლად;

3. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, განახორციელოს კომპანიის სახელზე უძრავი/მოძრავი ქონების რეგისტრაცია და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა, უძრავი ქონებების ფართების დაზუსტება/დაყოფა, ბინა-ერთეულებად გადალაგება, რეგისტრირებული იპოთეკის/ვალდებულებების უფლების გაუქმება, აგრეთვე, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

4. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ მესამე პირებთან ურთიერთობაში, რომლებთან ერთადაც თანასაკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ქონებას, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია სს „სილქნეტისა“ და მესამე პირების თანასაკუთრებაში არსებული ქონების ფლობისა და სარგებლობისათვის,ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე-განკარგვისათვის;

5. ავტომანქანების ნასყიდობის (ყიდვა/გაყიდვა) ხელშეკრულებების ფარგლებში სს „სილქნეტის“ სახელით ხელი მოაწეროს გასაფორმებელ დოკუმენტაციას (მათ შორის – მიღება-ჩაბარების აქტებს), წარმოადგინოს საზოგადოება შსს-ს მომსახურების სააგენტოში და მის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ: განახორციელოს სს „სილქნეტის“ სახელით შესყიდული ან/და გასაყიდი ავტომანქანების გაფორმება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცედურა, მათ შორის

ავტომობილების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა; აგრეთვე, სს „სილქნეტის“ სახელით მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული ავტომანქანების ადგილზე დათვალიერების პროცედურებში, კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას (მათ შორის: ავტომანქანის გადაფორმების და კომპანიის სახელზე გაფორმების დოკუმენტებს, დათვალიერების და გადაცემის შესახებ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტს) და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

6. სს „სილქნეტის“ სახელით ხელი მოაწეროს კომპანიის კუთვნილი, ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, მათ შორის ღირებულების გადახდის განვადების პირობით; ასევე, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ფასის შემცირებასთან დაკავშირებით, მაგრამ არა უმეტეს 20%-ისა (ფასის 20%-ზე მეტით შემცირებისათვის საჭიროა გენერალური დირექტორის თანხმობა); აგრეთვე ხელი მოაწეროს აღნიშნული დავალების შესასრულებლად საჭირო ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

7. სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული კომპანიისათვის გამოუსადეგარი კავშირგაბმულობის ხაზის დემონტაჟის სამუშაოების ჩატარების მიზნით, გააფორმოს სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული გაუქმებული კავშირგაბმულობის ხაზის და არამომსახურე გამაძლიერებელი პუნქტების (აგპ) გაყიდვის/რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულებები; ასევე, სს „სილქნეტი” წარმოადგინოს სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნებართვების, თანხმობების და სხვა საჭირო დოკუმენტაციის აღების/ჩაბარების მიზნით; აგრეთვე, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული კავშირგაბმულობის ხაზის დემონტაჟის სამუშაოების შესრულებასთან;

8. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ ტენდერში (კონკურსში და ა.შ.) გამარჯვებულ კომპანიებთან, მათთან ურთიერთობისას ხელი მოაწეროს სს „სილქნეტის“ სახელით ნებისმიერ დოკუმენტაციას, შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

9. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ საქართველოში არსებულ განბაჟების სატერმინალო მომსახურების სფეროში მოქმედ კომპანიებთან, მათთან ურთიერთობისას ხელი მოაწეროს სს „სილქნეტის“ სახელით ნებისმიერ დოკუმენტაციას, განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან;

10. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ ავტომობილის ტექნიკური მომსახურების სფეროში მოქმედ კომპანიებთან, აღნიშნულ კომპანიებსა და „სილქნეტს“ შორის გამოფრმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ყოველი კონკრეტული მომსახურების მიღებისას ან/და „პროდუქციის“ მიწოდებისას, ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტებს; აგრეთვე, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც აუცილებელია აღნიშნული დავალების შესასრულებლად;

11. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ ქონების დაზღვევის სფეროში მოქმედ კომპანიებთან, აღნიშნულ კომპანიებსა და „სილქნეტს“ შორის გამოფრმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ხელი მოაწეროს გასაფორმებელ სადაზღვეო პოლისებს, შეთანხმებებს პოლისის ვადის გაგრძელების შესახებ, განცხადებებს (მათ შორის განცხადებას პოლისის გაუქმების ანდა შეწყვეტის შესახებ); აგრეთვე, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც აუცილებელია სადაზღვეო პროდუქტით სარგებლობასთან;

12. წარმოადგინოს საზოგადოება შპს „ლინქ ლოჯისთიქში“ (402002603), შპს „ლოჯისთიქ სოლუშენსში“ (ს/კ 404891079), „მერიდიან ექსპრესში“ (ს/კ 206063365), შპს „ჯორჯიან ექსპრესში“ (ს/კ 201954965), შპს „სკს“-ში (ს/კ 204885810), შპს „მ+მ მილიცერ და მიუნხენ ჯეორჯიენში“ (ს/კ 203839276) და შპს „საქართველოს ფოსტა“-ში (ს/კ 203836233) შპს „აშშ2საქართველო“-ში (ს/კ 20524348) და

განახორციელოს სს „სილქნეტის“ სახელზე ჩამოსული (არსებული) ნებისმიერი სახის ტვირთის და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება; აგრეთვე, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

13. წარმოადგინოს სს „სილქნეტი“ სსიპ „შემოსავლების სამსახურში“, სს „სილქნეტის“ სახელით ჩაიბაროს (ხელი მოაწეროს) სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ბრძანება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის/განადგურების დოკუმენტის შედგენისა და საგადასახადო ორგანოს მიერ მისი დადასტურების შესახებ, წერილობით დაადასტუროს მისი ჩაბარება, ასევე ხელი მოაწეროს სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ შედგენილ საგადასახადო ოქმს განადგურებული ქონების ფაქტის დადასტურების შესახებ; აგრეთვე, წარმოადგინოს კომპანია სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, მათ შორის, საბაჟო დეპარტამენტში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში და სხვ. და განახორციელოს სს „სილქნეტის“ სახელზე ჩამოსული ტვირთების ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მოქცევა, ტვირთების ექსპორტის და იმპორტის საბაჟო პროცედურების შესრულება, ორმაგი დანიშნულების ნებართვის აღება, შესაბამისი დოკუმანტაციის მიღება და საბაჟო პროცედურების წარმოება; აგრეთვე, განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

14 სს „სილქნეტი“ ვერა დუდუჩავას ასევე **ანიჭებს უფლებამოსილებას, ამ მინდობილობის 1-13 პუნქტებით მინიჭებული უფლებამოსილებანი ერჯერადად ან მრავალჯერადად გადაანდოს მესამე პირებს** (სს „სილქნეტში“ დასაქმებულ პირებს, ასევე კომპანიის კონტრაქტორებს).

15 წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებამდე, ვერა დუდუჩავა ვალდებულია შესაბამისი ქმედებები შეუთანხმოს სს „სილქნეტის“ გენერალურ დირექტორს და წარუდგინოს განმარტება ქმედების განხორციელებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2021 წლის 30 სექტემბერს და ძალაშია 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ერთ ეგზემპლარად, ამასთან დასაშვებია ასლის განუსაზღვრელი ოდენობით გადაღება და დამოწმება სს „სილქნეტის“ ბეჭდით.

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი